საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/243

ქ. ბათუმი 19 ოქტომბერი, 2022წ.

2022 წლის ნოემბერში ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად ასარჩევი საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, 25-ე მუხლის, 31-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 13-14 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად ახალარჩეული წევრების უფლებამოსილების ცნობის თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის №01 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2022 წლის ნოემბერში ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს მორიგი არჩევნებისათვის განისაზღვროს ასარჩევი საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა შემდეგი რაოდენობა:

ა) ფაკულტეტი, სადაც აკადემიური პერსონალის (გარდა ასისტენტისა) რაოდენობა <u>**არ აღემატება**</u> 35-ს, ხოლო სტუდენტების რაოდენობა - 1400-ს, არჩეულ იქნეს წარმომადგენლობით საბჭოში: აკადემიური პერსონალიდან - **1 წარმომადგენელი და სტუდენტებიდან - 1 სტუდენტი;**

ბ) ფაკულტეტი, სადაც აკადემიური პერსონალის (გარდა ასისტენტისა) რაოდენობა **აღემატება** 35-ს, ხოლო სტუდენტების რაოდენობა - 1400-ს, არჩეულ იქნეს წარმომადგენლობით საბჭოში: აკადემიური პერსონალიდან - **2 წარმომადგენელი და სტუდენტებიდან - 2 სტუდენტი.**

2. ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს 2022 წლის არჩევნების გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება მომზადდეს წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით.

3. ბრძანება ჩაბარდეს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს და ინსტიტუტებს.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ფაკულტეტების/კანცელარიის საინფორმაციო დაფებსა და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმის ს. ზუბალაშვილის ქ №30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**